



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# საქართველოს თვის მიმოხილვა

---

2022

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

# ინფლაცია

2022 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.5% შეადგინა, ხოლო ივნისთან შედარებით სამომხმარებლო ფასებმა 0.2%-ით მოიმადა.


რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდაა. ბოლო პერიოდში გარკვეული სტაბილიზაციის მიუხედავად, მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე ფასები კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში მაღალი ინფლაციის მთავარი მიზეზია.

## თვის ინფლაცია 0.2% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

## წლიური ინფლაცია 11.5% (წვლილი)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივლისში წინა თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.2%-ით გაიზარდა. ივნისთან შედარებით სამომხმარებლო კალათიდან ყველაზე გამოსარჩევი სანოღარო გადასახადის თითქმის გაორმაგება იყო, რამაც თვის ინფლაცია 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა. სეზონური ფაქტორების გამო კარტოფილის გაიაფებამ თვის ინფლაცია 0.6 პპ-ით შეამცირა.

ივლისში წლიურ ინფლაციაზე ყველაზე დიდი გავლენა კვლავ სურსათის ჯგუფს ჰქონდა (4.7 პროცენტული პუნქტი (პპ)), საიდანაც პურზე (წლიური ინფლაცია - 27%), ყველზე (17%) და ქათმის ხორცზე (24%) ფასების მატება გამოირჩეოდა, ხოლო ამ პროდუქტების წვლილი წლიურ ინფლაციაში, შესაბამისად, 1.0 პპ, 0.4 პპ და 0.2 პპ იყო. ბოლო დროს, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების პოზიციური დინამიკისა და ლარის გაცვლითი კურსის გამყარების მიუხედავად, კვლავ მაღალ ნიშნულზეა საწვავის ფასები, რასაც ჯამში წლიურ ინფლაციაზე 1.8 პპ-იანი გავლენა აქვს.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს მთლიან ინფლაციასთან შედარებით დაბალი იყო და 7.0% შეადგენდა.

## მთლიანი, საბაზო და მოსახურების ინფლაცია



წყარო: საქსტატი



## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ბოლო თვეებში იმპორტირებულ ინფლაციას ძირითადად კლების ტენდენცია აქვს, რასაც ხელს მსოფლიო ბაზარზე ფასების გარკვეულ სტაბილიზაციასა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. ივლისში იმპორტირებულმა ინფლაციამ 13.3% შეადგინა. ამავე პერიოდში, ადგილობრივი წარმოების საქონლის ფასების ზრდა შეინიშნება. ივლისში ეს მონაცემი 12.8%-ს გაუცოლდა. ეს ზრდა გარკვეულწილად მსოფლიო ბაზრებზე იმ ნედლეულზე ფასების ზრდას უკავშირდება, რომელიც ადგილობრივი პროდუქტების დასამზადებლად გამოიყენება. მაგალითად, ბოლო თვეებში პურისა და პურპროდუქტების ფასების ზრდა ხორბლის ფასის მკვეთრ ზრდას უკავშირდება. ამის გარდა, ადგილობრივი ინფლაციის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი მატების გამო ბინის ქირის და სხვა ადგილობრივი სერვისების გაძვირებამ შეიტანა. შერეული პროდუქტების ინფლაციის შემცირება საბაზო ეფექტს და ზოგიერთ პროდუქტზე ფასის შემცირებას უკავშირდება, რომელთაგანაც ყველაზე გამოსარჩევი კარცოფილია.

**იმპორტირებადი, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში**




ინფლაცია დეტალურად	2022 წლის წონები	ივლ22/ივნ22		ივლ22/ივლ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.2%	0.2%	11.5%	11.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	-1.4%	-0.5%	16.4%	5.3%
სურსათი	28.9%	-1.7%	-0.5%	16.0%	4.7%
პური და პურპროდუქტები	5.6%	2.0%	0.1%	29.3%	1.7%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.9%	0.1%	12.7%	0.8%
თევზი	0.5%	-1.6%	0.0%	14.9%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	3.0%	0.2%	16.9%	1.0%
ზეთი და ცხიმი	1.9%	2.4%	0.1%	17.5%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	-9.4%	-0.2%	13.7%	0.3%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	-21.1%	-0.8%	-1.2%	0.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	2.9%	0.1%	18.1%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.9%	0.0%	11.8%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	0.8%	0.0%	20.4%	0.6%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.6%	0.0%	8.3%	0.6%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-2.4%	-0.1%	-0.7%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.3%	0.0%	13.3%	1.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	2.0%	0.1%	9.5%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	-0.4%	0.0%	0.6%	0.1%
ტრანსპორტი	13.0%	2.4%	0.3%	20.6%	2.4%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.5%	0.0%	0.9%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	1.1%	0.0%	2.7%	0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.3%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	1.5%	0.1%	14.3%	0.6%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	5.7%	0.3%	11.5%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	-0.2%	-0.1%	13.8%	8.4%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	-0.9%	-0.1%	5.1%	0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	-0.5%	0.0%	-0.2%	0.0%
მომსახურება	30.1%	1.7%	0.5%	10.0%	2.7%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


2022 წლის ივნისში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 3.72 მლრდ ლარით (თვიურად 862.2 მლნ ლარით) გაიზარდა და 38.3 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 10.8%-ით გაიზარდა, მეცნილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, ივნისში წინა თვესთან შედარებით, ლარის სადეპოზიტო ვალდებულებები 308.2 მლნ ლარით (2.0 %-ით) გაიზარდა და 16.1 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ განაპირობა, რომლის მოცულობაც 256.3 მლნ ლარით გაიზარდა. ამავდროულად, საბანკო სისტემის დეპოზიტებს სამთავრობო სექტორის დეპოზიტებზე ზრდიდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, გაიზარდა როგორც ფიზიკური პირების, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## სადაპოზიტო ვალდებულებები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე წლის ივნისში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.15 პპ გაიზარდა და 5.45% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ შემცირდა და 7.9% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე - 0.1 პპ-ით, 0.7%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რაც ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის მატებამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთმა წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით მოიმატა და 12.1% შეადგინა, ხოლო ევროსა და დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 0.5 პპ და 0.2 პპ-ით, 0.5% და 1.0%-მდე შემცირდა.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2022 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 58.0%-ს შეადგენს. ივნისის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 46.2% და 72.2 % შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დედოლარიზაცია გრძელდება და ივნისში წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ შემცირდა და 68.8% შეადგინა.

**დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის ივნისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.7%-ით გაიზარდა და 43.7 მლრდ ლარი შეადგინა. სესხების ზრდა მეცნილად ლარით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. ლარით დაკრედიტება წლიურად 21.2%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 10.0 პპ წვლილი შეიძინა. აღსანიშნავია, უცხოური ვალუდით დაკრედიტების გააქციურება. 2021 წლის დასაწყისიდან უცხოური ვალუდის სესხები მზარდია. 2022 წლის ივნისში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, უცხოური ვალუდის სესხებმა წლიურად 16.4%-ით მოიმატა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.7 პპ წვლილი შეიძინა. დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხებისა და სამომხმარებლო სესხების ზრდამ განაპირობა.

**სესხების წლიური ზრდის დამაპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დამაპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის ივნისში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 12.7% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 16.4%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე - 0.1 პპ-ით, 6.9% -მდე გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები მზარდია და მიმდინარე წლის ივნისში 13.9% შეადგინა. გაზრდილ დონეზე ნარჩუნდება იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთიც, რომელმაც ივნისში 12.5% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო შედარებით, იურიდიული პირების სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით 7.1%-მდე გაიზარდა, ხოლო იპოთეკური სესხების - 5.9%-ზე შენარჩუნდა. მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია შემცირებას განაგრძობს. გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მისი დონე წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 48.3%-ს გაუცოლდა. შემცირებას განაგრძობს როგორც ფიზიკური პირების ასევე იურიდიული პირების დოლარიზაციის დონე. ივნისში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 82.6 მლნ ლარით შემცირდა და 436.4 მლნ ლარს გაუცოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.0% იყო. ვადაგადაცილებული სესხების 40.4% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვადაგადაცილებული დავალიანება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საგარეო სექტორი**


2022 წლის ივნისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 16.6%-ით გაიზარდა და 598.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დეფიციტის ზრდა ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი 21.1%-ით, 1,047.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 27.9 %-ით გაიზარდა და 448.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა**



წყარო: საქსტატი


**სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ივნისი, 2022)**



წყარო: საქსტატი

2022 წლის ივნისში საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესად სამომხმარებლო საქონლის მადებამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის ზრდა მეტწილად ნავთობის (რაც ასევე მკვეთრად მომადებული ნავთობის ფასების ასახვა) და მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების ზრდას უკავშირდება. შუალედური საქონლის იმპორტის ზომიერ ზრდაში მალალი წვლილი (1.6 პპ) ხორბლის ფქვილს უჭირავს. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 3.9%-ით გაიზარდა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)** **საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მალალი წვლილით გამოირჩეოდა რუსეთი, რაც, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ხოლო თურქეთიდან იმპორტის ზრდა მსუბუქი ავტომობილებისა და სიგარეტების/სიგარეტების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. სომხეთიდან იმპორტის მატება კვლავ სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ფოლადის ნახევარფაბრიკატების შემოტანამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ჩინეთიდან - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე რეზინის საბურავების, რუმინეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან - საცლელფონო აპარატებისა და სიგარეტები-სიგარილების, გერმანიიდან და იაპონიიდან - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება ბრაზილიიდან, ჩილედან და ინდონეზიიდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინიდან - სიგარეტები-სიგარილებისა და სამკურნალო საშუალებების, აზერბაიჯანიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებით არის გამოწვეული. მიმდინარე თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ივნისში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი ნავთობს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს და მსუბუქ ავტომობილებს (25%) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ივნისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ივნისთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო. ავტომობილებს (30%) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ივნისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ივნისთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ივნისი, 2022, მლნ აშშ დოლარი)**

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - ივნისი, 2022**

კატეგორია	რაოდენობა	სპილენძის მადნები და კონცენტრატები	რაოდენობა	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	რაოდენობა
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	115	44	23	19	
მსუბუქი ავტომობილები	106	11	10	10	
სამკურნალო საშუალებები	39	10	9	9	



წყარო: საქსტატი


წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2022 წლის ივნისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 27.9%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო და შუალედური საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მსუბუქმა ავტომობილებმა, ხოლო შუალედური საქონლის მატებაში ელექტროენერჯის ექსპორტმა შეიქცა. საქონლის ექსპორტის ზრდა ძირითადად საექსპორტო საქონელზე გაზრდილი ფასების ასახვა და რეალურად მისი მოცულობა 2.7%-ით გაიზარდა.

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიქცა თურქეთში ექსპორტის მატებამ, რაც ელექტროენერჯის გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან სომხეთსა და აზერბაიჯანში - მსუბუქი ავტომობილების, ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილების, ასევე სიგარეტები-სიგარილების, თურქმენეთში - შინაური ფრინველის გაყიდვით ხორცის ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ინდოეთში ქიმიური/მინერალური სასუქების, რუმინეთში - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შვეიცარიის - დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტის ზრდა. ამის საპირისპიროდ, ესპანეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, რუსეთში ფეროშენადნობებისა და მინერალური წყლების, აშშ-ში ფეროშენადნობების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.




**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


ივნისში საქონლის ექსპორტის დიდი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და ელექტროენერჯიას ეჭირა (39% წილი მთლიან ექსპორტში). ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიტანა, რომელიც წლიურად 97%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერჯიაზე, სასუქებსა და ნავთობპროდუქტებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 11.1 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივნისი 2022, მლნ აშშ დოლარი)**

მსუბუქი ავტომობილები, 78	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 67	ელექტროენერჯია, 30		ყურძნის ნაცურალური ღვინოები, 20
		ფეროშენადნობები, 16	სპირტიანი სასმელები, 13	ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები, 10
		სასუქები, 13	მინერალური წყლები, 9	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 9

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ივნისი, 2022)**




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2022 წლის ივნისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 111.7%-ით და 427.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 11.7%-ით 29.6 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები ივნისში კვლავ გამორჩეულად მაღალი იყო (231 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წელთან შედარებით 6-ჯერ მაღალია. მიმდინარე თვეში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან (518.7 %) და ყაზახეთიდან (283.9 %) გადმორიცხული ფულადი სახსრები მაღალი ტემპით გაიზარდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 6.3 და 2.9 პპ იყო. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ივნისში რუსეთი (54.2%), ევროკავშირის ქვეყნები (21.6%) და აშშ (6.5%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

**ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ივნისი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დურიზმი - 2022 წლის ივნისში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 164.4%-ით გაიზარდა. დურისცების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 72.0% შეადგინა და წლიურად 126.7%-ით მოიმატა. აღნიშნულ თვეში, ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძობლად (6-ჯერ) გაიზარდა. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ზრდას განაგრძობს და ივნისში წლიურად 146.3%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ეცაპობრივად კრიზისამდელ დონეს დაუბრუნდა და 2019 წლის ივნისის 89% შედგინა. მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა ძირითადად რუსეთიდან (44.7 პპ), ბელარუსიდან (18.2 პპ) და თურქეთიდან (14.0 პპ) შემოსავლების ზრდას უკავშირდება.

**ვიზიტორთა ტიპები**



წყარო: საქართველოს დურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


**მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში საქართველოში მყოფი უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა კვლავ გაიზარდა, რაც დურისცული სეზონის გააქტიურებას უკავშირდება. გარდა ამისა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდგომ, უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელარუსიდან შემოსული მოქალაქეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და მათი ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობაც გაზრდილია. 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოში 162,622 უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფებოდა. აქედან რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 62,917, უკრაინიდან 20,230, ბელარუსიდან 19,514 შეადგინა, რაც ჯამურად ომამდელ დონეს 4.8 ჯერ აღემატება.

**უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა საქართველოში**




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

# სავალუტო ბაზარი

2022 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.9702-დან 2.9545-მდე (0.5%-ით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.1403-დან 3.1297-მდე (0.3%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.9289 და 3.0821 შეადგინა. ივნისში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.0307, ხოლო მინიმალურმა 2.9239 შეადგინა.

**ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა საშუალო დონიდან უფრო მეტად იყო გადახრილი, ვიდრე - მინიმალური.

დოლართან მიმართებაში რუსული რუბლი კვლავ გამყარების ტენდენციას ინარჩუნებს, ხოლო თურქული ლირა გაუფასურებას განაგრძობს.

**თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)**

**ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების<sup>1</sup> ცვლილება დოლართან მიმართებაში. 2022 წლის ივნისი (ზრდა=გაუფასურება)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურ დონეზე გამყარებას განაგრძობს. ივნისში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 11.9%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 20.5%-ით გამყარდა. ეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით ივნისში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.2%-ით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.


<sup>1</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ლარის ნომინალური ეფექტური ბაზვლითი კურსის ინდექსი (იან2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური ბაზვლითი კურსის ინდექსი (იან2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები ზრდას განაგრძობს. სავაჭრო პარტნიორთაგან ივნისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, ბელარუსში, რუსეთსა და აზერბაიჯანში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში.

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები. 2022 წლის ივნისი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5<sup>2</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით კონცენტრაცია შემცირებულია. შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილად**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



2 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.

ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა როგორც თვეურად, ასევე წლიურად გაზრდილია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 163.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით - 12.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის ივნისთან შედარებით 44.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 27.3%-ით, ხოლო წლიურად 11.3%-ით გაიზარდა.

2022 წლის ივნისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ<sup>3</sup> გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და 2,328.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 542.6 მლნ აშშ დოლარით (თვეურად 105.1 მლნ აშშ დოლარით) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 1.0% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ ივნისის განმავლობაში 23.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 278.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვეურად 2.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,163.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 264.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვეურად 108.0 მლნ აშშ დოლარით) და 1,164.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

ივნისში სავალუტო ფორვარდ<sup>4</sup> გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 4.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვეურად 2.0 მლნ აშშ დოლარით) და 10.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობა თითქმის მთლიანად იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა -2.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბანკთაშორის სპოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.  
 4 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდული იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.




2022 წლის ივნისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 67.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, ძირითადად, მთავრობისთვის ჩარიცხულმა საპროექტო და პროგრამულმა შესახებმა, საპროცენტო შემოსავლებმა და ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუდის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით მთავრობის სავალუდო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

ივნისში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიციო სერტიფიკატები დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ივნისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


ივნისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 190.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივნისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 70, და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 155.0 მლნ ლარით გაიზარდა და 5,915.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 64.0%-ს კომერციული ბანკების, 25.6%-ს ეროვნული ბანკის, 6.7%-ს არარეზიდენტების, ხოლო 3.7%-ს რეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთებზე აისახება. კერძოდ, სადებოზიციო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს მერყეობს. ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.10 პპ-ით 10.90%-მდე შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.23 პპ-ით შემცირდა და 10.65% შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.39% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.21 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი კი, წინა თვესთან შედარებით, 0.30 პპ-ით შემცირდა და 10.32% შეადგინა. ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და ივნისში მაისის ანალოგიურად 10.40% შეადგინა. გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთერთ ფაქტორად შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მოლოდინების შემცირება მოვიხაზოთ.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შამოსავლიანობის გრადი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 2,969.2 მლნ ლარით, (წლიურად 6,679.9 მლნ ლარით) 10,710.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (74.0%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,191.3 მლნ ლარით (38.2%-ით) გაიზარდა. ხოლო ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობამ თვიურად 777.9 მლნ ლარით (38.7%-ით) მოიმატა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.23 პპ-ით შემცირდა და 10.69% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.19 პპ-ით 1.79%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე თვეში ფულადი ბაზრის რესურსის 22.1% ერთ თვემდე ვალიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 76.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აგროგატები**



2022 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 156.1 მლნ ლარით (3.0%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.3 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 125.3 მლნ ლარით (2.4 პროცენტით) გაიზარდა.

საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 8.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 23.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 14.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ივნისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 328.0 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,306.7 მლნ ლარს გაუცოლდა.

2022 წლის ივნისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 446.4 მლნ ლარით გაიზარდა, რაც როგორც M2 აგრეგატის (ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული და სადეპოზიტო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში), ასევე უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა რაც მეცნილად კურსის გამყარებით არის განპირობებული. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა (გაიზარდა 241.2 მლნ ლარით) მეცნილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატებამ განაპირობა,

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**

**ფულადი აგრეგატები**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის ივნისში საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოთხოვნა წინა თვესთან შედარებით გაიზარდა. მიმდინარე თვეში, ნაღდი ფულზე მოთხოვნა 60.3 მლნ ლარით გაიზარდა. საბანკო ოპერაციებით საბანკო სექტორის ლიკვიდობა შეუმცირდა. საბოლოო ჯამში, ივნისში მონეტარულ ოპერაციებით საბანკო სექტორის ლიკვიდობა 275.8 მლნ ლარით არის გაზრდილი. აქედან, რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 110.0 მლნ ლარით გაიზარდა და 2,800.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 83.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 13.3 მლნ ლარით შემცირდა და 476.8 მლნ ლარს შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 179.8 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,700.6 მლნ ლარს გაუფოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 50.0 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge



2018

2019

2020

2021

2022